



საქართველოს
ახალგაზრდა
იურიისტთა
ასოციაცია

მელის
არდა
თა
მია

ევროსასამართლოს მოსამართლის შერჩევის კონკურსი საქართველოში დემოკრატიული ლეგიტიმაციის კრიზისის ფონზე



**ევროსასამართლოს მოსამართლის
შერჩევის კონკურსი საქართველოში
დემოკრატიული ლეგიტიმაციის
კრიზისის ფონზე**

თბილისი
2026

გამოცემაზე პასუხისმგებელი: თამარ ონიანი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო

(+995 32) 295 23 53, 293 61 01

www.gyla.ge

© 2026, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	4
1. ევროპული სასამართლოს მოსამართლის არჩევის პროცედურა	6
2. ეროვნულ დონეზე კანდიდატების შერჩევასთან დაკავშირებული სტანდარტები	8
2.1. კრიტერიუმები, რომლებსაც კანდიდატთა სია უნდა აკმაყოფილებდეს	8
2.2. კანდიდატის შერჩევის პროცესი	9
2.3. კარგი პრაქტიკა შესარჩევი პროცესის სამართლიანობასა და გამჭვირვალობასთან დაკავშირებით	10
3. კანდიდატების შერჩევის წესი საქართველოში	12
3.1. კომისიის შემადგენლობა	12
3.2. პროცესის ორგანიზება	13
4. კანდიდატების შერჩევის სამართლიანობასა და გამჭვირვალობასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოში	15
4.1. წარმომადგენლობითობისა და დამოუკიდებლობის ილუზია	15
4.2. არაგანჭვრეტადი შეფასების კრიტერიუმები	17
4.3. გა(უ)მჭვირვალობა	18
4.4. ავტორიტარიზმი, როგორც კანდიდატების შერჩევის ძირითადი კონტექსტი	19
დასკვნა	22

შესავალი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო რეგიონულ დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია. მოსამართლეთა პროფესიული კომპეტენცია და მაღალი მორალური თვისებები არსებითი მნიშვნელობისაა სასამართლოს ავტორიტეტისა და ეფექტიანობისთვის.¹

ევროპული სასამართლოს მოსამართლის არჩევის პროცედურა ეროვნულ და საერთაშორისო ეტაპებს აერთიანებს. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა იღებს, კანდიდატთა სამკაცრიანი სიის ფორმირება სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა. შესაბამისად, სწორედ ეროვნულ დონეზე ჩატარებული კონკურსის ხარისხი განსაზღვრავს, ექნება თუ არა საპარლამენტო ასამბლეას შესაძლებლობა, არჩევანი შესაბამისი კვალიფიკაციის, კეთილსინდისიერებისა და დამოუკიდებლობის მქონე კანდიდატებს შორის გააკეთოს. ამრიგად, ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულ სტანდარტებში განსაკუთრებული ყურადღება ეროვნული პროცესის სამართლიანობასა და გამჭვირვალობას ეთმობა.²

საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლის კანდიდატების შესარჩევად 2025 წლის ბოლოს გამოცხადებული კონკურსი ქვეყანაში განსაკუთრებულად კრიზისულ გარემოში მიმდინარეობს: 2024 წლიდან დემოკრატიული უკუსვლისა და ავტორიტარიზმის კონსოლიდაციის პროცესის დაჩქარება; სასამართლო და სხვა ფორმალურად დამოუკიდებელი ინსტიტუტების კიდევ უფრო პოლიტიზება; საჯარო სექტორზე პარტიული კონტროლის გაძლიერება, სამოქალაქო საზოგადოებისა და დამოუკიდებელი მედიის სისტემური შევიწროება; გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებებისთვის მიზანმიმართული ძირის გამოთხრა; პოლიტიკურად მოტივირებული მართლმსაჯულება. ასეთ პირობებში მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესის ფორმალური შესაბამისობა ცალკეულ პროცედურულ მოთხოვნებთან საკმარისი აღარ არის მისი რეალური ლეგიტიმურობის დასადასტურებლად.

ევროპული სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის კონკურსები ბოლოს 2016-2017 წლებში ჩატარდა.³ ისინი სამოქალაქო საზოგადოებისა და დამოუკიდებელი აქტორების მოსაზრებების უგულვებელყოფით, პროცესში მათი ნომინალურად ჩართვითა და ობიექტურობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული გამოწვევებით ხასიათდებოდა.⁴ ამჟამად მიმდინარე კონკურსის ჩატარების წესი დიდ-

¹ CM(2012)40-add - Guidelines of the Committee of Ministers on the selection of candidates for the post of judge at the European Court of Human Rights – Explanatory Memorandum, 29 March 2012, [https://search.coe.int/cm/#{%22CoEIdentifier%22:\[%2209125948801e3959%22\],%22sort%22:\[%22CoEValidationDate%20Descending%22\]}](https://search.coe.int/cm/#{%22CoEIdentifier%22:[%2209125948801e3959%22],%22sort%22:[%22CoEValidationDate%20Descending%22]}) [13.08.2026].

² CM(2012)40-final - Guidelines of the Committee of Ministers on the selection of candidates for the post of judge at the European Court of Human Rights, 28 March 2012, [https://search.coe.int/cm/#{%22CoEIdentifier%22:\[%2209000016805cb1ac%22\],%22sort%22:\[%22CoEValidationDate%20Descending%22\]}](https://search.coe.int/cm/#{%22CoEIdentifier%22:[%2209000016805cb1ac%22],%22sort%22:[%22CoEValidationDate%20Descending%22]}) [13.08.2026].

³ კანდიდატთა შერჩევის პროცესი 2015 წლის ბოლოს დაიწყო. საქართველოს მიერ თავდაპირველად წარდგენილ სამკაცრიანი სიას ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა, რის შემდეგაც, 2017 წელს კონკურსი ხელახლა გამოცხადდა. იხ. Dolidze A., Oniani T, Is Transparency Enough? Informal Governance Networks and the Selection Process of a Georgian Judge to the European Court of Human Rights, Review of Central and East European Law 49 (2024), pg. 138-139, https://brill.com/view/journals/rela/49/1/article-p119_005.xml [13.08.2026].

⁴ მაგ. იხ. კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, „2017 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის კანდიდატურების

წილად სწორედ წინა კონკურსის პროცედურებს იმეორებს და, გარკვეულწილად, აუარესებს კიდევ მას.

ამ დოკუმენტის მიზანია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის მოქმედი პროცედურის შეფასება ევროპის საბჭოს მიერ დადგენილ სტანდარტებსა და საქართველოში არსებულ უფლებრივ და ინსტიტუციურ კონტექსტთან მიმართებით. დოკუმენტში მიმოხილულია მოსამართლის არჩევის ზოგადი წესი, ეროვნულ დონეზე კანდიდატების შერჩევის ძირითადი მოთხოვნები, საქართველოში მოქმედი რეგულაციები და ის გარემოებები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებს კონკურსის გამჭვირვალობას, დამოუკიდებლობასა და სამართლიანობას.


დოკუმენტში განვითარებული მსჯელობა ცხადყოფს, რომ სახელმწიფო ინსტიტუტების მიტაცებისა და ავტორიტარული მმართველობის კონსოლიდაციის პირობებში სხვადასხვა სახელმწიფო უწყებისა და ფორმალურად დამოუკიდებელი ინსტიტუტების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული კომისია, თავისთავად, ვერ უზრუნველყოფს რეალურ პლურალიზმსა და დამოუკიდებლობას. წინა კონკურსების ფარგლებში გამოვლენილი პრობლემების უგულებელყოფა, შეფასების არაგანჭვრეტადი კრიტერიუმები, პროცესიდან სამოქალაქო საზოგადოების გამორიცხვა და გამჭვირვალობის შემცირებული გარანტიები ქმნის პოლიტიკურად სასურველი კანდიდატების შერჩევის მნიშვნელოვან რისკს. შესაბამისად, კონკურსის შეფასებისას აუცილებელია არა მხოლოდ პროცედურის ფორმალური ელემენტების, არამედ საქართველოში არსებული დემოკრატიული ლეგიტიმაციის კრიზისისა და მისი გავლენის გათვალისწინება.

შესარჩევად მეორედ შექმნილმა კომისიამ კვლავ ვერ უზრუნველყო სამართლიანი და გამჭვირვალე შერჩევის პროცედურა“, 03.07.2017, <https://gyla.ge/post/2017-tsels-adamianis-uflebata-evropul-sasamartloshi-saqartvelodan-asarchevi-mosamartlis-kandidaturebis-shesarchevad-meored-sheqmnilma-komisiama-kvlav-ver-uzrunvelo-samartliani-da-gamtchvirvale-sherchevis-procedura#sthash.w5r9y6r6.dpbs> [13.08.2026].

1. ევროპული სასამართლოს მოსამართლის არჩევის პროცედურა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იმდენი მოსამართლისგან შედგება, რამდენი მაღალი ხელშემკვრელი მხარეც ჰყავს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას⁵ (ამჟამად, კონვენციის ხელშემკვრელი მხარე ევროპის 46 სახელმწიფოა, მათ შორის, 1999 წლიდან – საქართველოც). თითოეული სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი სამი კანდიდატიდან მოსამართლეს ირჩევს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ხმათა უმრავლესობით.⁶ მოსამართლე ცხრა წლით აირჩევა და მისი მეორე ვადით არჩევა დაუშვებელია.⁷

ევროპული სასამართლოს მოსამართლის შერჩევის პროცესი შემდეგი ეტაპებისგან შედგება:



*ექსპერტთა პანელი - ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მოსამართლედ ასარჩევ კანდიდატთა საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა საკონსულტაციო ჯგუფი (Advisory Panel of Experts on Candidates for Election as Judge to the European Court of Human Rights).

**კომიტეტი - ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის კომიტეტი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეთა არჩევის შესახებ (Committee on the Election of Judges to the European Court of Human Rights).

2010 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა შექმნა **ექსპერტთა პანელი**, რომლის მიზანია, სახელმწიფოს დაეხმაროს იმის განსაზღვრაში, შეესაბამება თუ არა მის მიერ შერჩეული მოსამართლეობის სამი კანდიდატი კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.⁸ სახელმწიფო, საპარლამენტო ასამბლეისთვის კანდიდატთა

⁵ კონვენციის მე-20 მუხლი.

⁶ კონვენციის 22-ე მუხლი.

⁷ კონვენციის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁸ CM/Res(2010)26-consolidated - as amended by Resolution CM/Res(2014)44 - Resolution on the establishment of an Advisory Panel of Experts on Candidates for Election as Judge to the European Court of Human Rights¹⁰

სამკაცრიანი სიის წარდგენამდე, კანდიდატების სახელებს და რეზიუმეებს წარუდგენს პანელს.⁹ თუკი პანელი ერთ ან მეტ კანდიდატს მოსამართლეობისთვის შეუფერებლად მიიჩნევს, იგი ამის შესახებ ატყობინებს სახელმწიფოს და კონფიდენციალურად უზიარებს მიზეზებს. პანელი საკუთარ მოსაზრებას კონფიდენციალურად წარუდგენს საპარლამენტო ასამბლეასაც.¹⁰ პანელის მოსაზრებების გათვალისწინება სავალდებულო არ არის, თუმცა არსებობს მოლოდინი, რომ სახელმწიფო მას მხედველობაში მიიღებს და, პანელისგან შესაბამისი რეკომენდაციის მიღებისას, კანდიდატთა სიას შეცვლის.¹¹ წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ უარყოფით რეკომენდაციას გასცემს კომიტეტიც, რომლის საფუძველზეც, ასამბლეა კანდიდატთა სიას უარყოფს და კანდიდატებს კენჭს არ უყრის.

ექსპერტთა პანელის მიერ შესაბამისი რეკომენდაციების გაცემის შემდგომ, წარდგენილ სიას საპარლამენტო ასამბლეის **კომიტეტი** აფასებს. კომიტეტის სხდომები დახურულია.¹² სხდომა სამი ნაწილისგან შედგება: (1) ბრიფინგი; (2) კანდიდატებთან გასაუბრება, (3) დისკუსია და ხმის მიცემა.¹³ კომიტეტი აფასებს როგორც კანდიდატების კვალიფიკაციას, ასევე ეროვნულ დონეზე მათი შერჩევის პროცესის სამართლიანობას და გამჭვირვალობას.¹⁴ თუ კომიტეტი მიიჩნევს, რომ ეროვნულ დონეზე კანდიდატების შერჩევის პროცესი საკმარისად სამართლიანად ან გამჭვირვალედ არ წარიმართა, ან ამ სამი კანდიდატიდან ერთი მაინც ვერ აკმაყოფილებს მოსამართლის თანამდებობისთვის საჭირო მოთხოვნებს, საპარლამენტო ასამბლეის მიმართ გასცემს რეკომენდაციას, არ განიხილოს სახელმწიფოს მიერ წარდგენილი სია.¹⁵ ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს მოუწევს ახალი სიის გაზიარება და ექსპერტთა პანელთან კონსულტაციისა და კომიტეტის მიერ სიის შემოწმების ეტაპების ხელახლა გავლა.

თუ კომიტეტი მიიჩნევს, რომ წარდგენილი სამკაცრიანი სიიდან ყველა კანდიდატი მოსამართლეობისთვის შესაფერისია და ეროვნულ დონეზე მათი შერჩევის პროცესი სამართლიანობისა და გამჭვირვალობის მინიმალურ სტანდარტებს აკმაყოფილებს, **საპარლამენტო ასამბლეა** ამ სიიდან ხმათა უმრავლესობით აირჩევს მოსამართლეს.

November 2010 at the 1097bis meeting of the Ministers' Deputies), [https://search.coe.int/cm#{%22CoEIdentifier%22:\[%2209125948801e6313%22\],%22sort%22:\[%22CoEValidationDate%20Descending%22\]}](https://search.coe.int/cm#{%22CoEIdentifier%22:[%2209125948801e6313%22],%22sort%22:[%22CoEValidationDate%20Descending%22]}) [13.08.2026].

⁹ იქვე.

¹⁰ იქვე.

¹¹ PACE, Procedure for the election of judges to the European Court of Human Rights, Memorandum prepared by the Secretary General of the Assembly, SG-AS (2026) 01, 04.05.2026, par. 5, 6. <https://rm.coe.int/procedure-for-the-election-of-judges-to-the-european-court-of-human-ri/1680aa8ddf> [13.08.2026].

¹² იქვე, პარ. 15-17.

¹³ იქვე. პარ. 19-28.

¹⁴ იქვე.

¹⁵ იქვე.

2. ეროვნულ დონეზე კანდიდატების შერჩევასთან დაკავშირებული სტანდარტები

ეროვნულ დონეზე მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევა სახელმწიფოს კომპეტენციაა.¹⁶ თუმცა, სახელმწიფოს მიერ წარდგენილი სამკაცრიანი სია და მისი ფორმირების პროცესი გარკვეულ მატერიალურ და პროცედურულ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს.¹⁷ ამ მოთხოვნების უზრუნველყოფა აუცილებელია იმისთვის, რომ საპარლამენტო ასამბლეამ შეძლოს, საბოლოო არჩევანი სათანადო კვალიფიკაციის და მორალური თვისებების მქონე კანდიდატებს შორის გააკეთოს.¹⁸ სწორედ ამიტომ, თუ სახელმწიფოს მიერ შედგენილი სია ან მისი ფორმირების პროცესი დადგენილ სტანდარტებს არ შეესაბამება, მოსალოდნელია, რომ საპარლამენტო ასამბლეა კანდიდატების კენჭისყრაზე უარს იტყვის.¹⁹

წინამდებარე თავში, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისა და საპარლამენტო ასამბლეის დოკუმენტებზე დაყრდნობით, შეჯამებულია ის მოთხოვნები, რომლებსაც სახელმწიფოს მიერ წარდგენილი სამკაცრიანი სია და მისი შედგენის პროცესი უნდა აკმაყოფილებდეს. კონკრეტულად, განხილულია კანდიდატთა საკვალიფიკაციო კრიტერიუმები, ეროვნულ დონეზე შერჩევის პროცედურის სამართლიანობისა და გამჭვირვალობის სტანდარტები და მათი განხორციელების კარგი პრაქტიკა.

2.1. კრიტერიუმები, რომლებსაც კანდიდატთა სია უნდა აკმაყოფილებდეს

კრიტერიუმები, რომლებსაც კანდიდატთა სია უნდა აკმაყოფილებდეს, მოცემულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელოში.²⁰

1. კანდიდატები უნდა გამოირჩეოდნენ მაღალი მორალური თვისებებით;
2. უნდა აკმაყოფილებდნენ მაღალი სასამართლო თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მოთხოვნებს ან იყვნენ აღიარებულნი, როგორც კომპეტენციის მქონე სამართალმცოდნეები;
3. სრულყოფილად უნდა ფლობდნენ ევროპის საბჭოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენას (ინგლისურს ან ფრანგულს) მაინც. ამასთანავე, სასურველია, ჰქონდეთ მეორე ენის, სულ მცირე, პასიური ცოდნა;
4. უნდა ფლობდნენ ეროვნულ სამართლებრივ სისტემას ან სისტემებს, საჯარო საერთაშორისო სამართალს. ასევე, სასურველია პრაქტიკული იურიდიული გამოცდილება;
5. კანდიდატების ასაკი უნდა იყოს 65 წელზე ნაკლები იმ თარიღისთვის, როდესაც საპარლამენტო ასამბლეას სამი კანდიდატისგან შემდგარი სია წარედგინება;

¹⁶ PACE, Procedure for the election of judges to the European Court of Human Rights, Memorandum prepared by the Secretary General of the Assembly, SG-AS (2026) 01, 04.05.2026, par. 2, <https://rm.coe.int/procedure-for-the-election-of-judges-to-the-european-court-of-human-ri/1680aa8ddf> [13.08.2026].

¹⁷ იქვე, პარ. 5-11.

¹⁸ იქვე, პარ. 4.

¹⁹ იქვე, პარ. 19-28.

²⁰ CM(2012)40-final - Guidelines of the Committee of Ministers on the selection of candidates for the post of judge at the European Court of Human Rights, 28 March 2012, [https://search.coe.int/cm/#{%22CoEIdentifier%22:%2209000016805cb1ac%22,%22sort%22:\[%22CoEValidationDate%20Descending%22\]}](https://search.coe.int/cm/#{%22CoEIdentifier%22:%2209000016805cb1ac%22,%22sort%22:[%22CoEValidationDate%20Descending%22]}) [13.08.2026].

6. კანდიდატებმა უნდა აიღონ ვალდებულება, რომ არჩევის შემთხვევაში და უფლებამოსილების ვადის განმავლობაში არ განახორციელებენ ისეთ საქმიანობას, რომელიც შეუთავსებელია მათ დამოუკიდებლობასთან, მიუკერძოებლობასა ან სრულ განაკვეთზე სამუშაოს მოთხოვნებთან;
7. სიაში არ უნდა იყოს ისეთი კანდიდატი, რომლის მოსამართლედ არჩევის შემთხვევაში, წინასწარგანჭვრეტადია, რომ შეიქმნება ad hoc მოსამართლის²¹ ხშირი ან ხანგრძლივი ვადით დანიშვნის საჭიროება;
8. სია, როგორც წესი, უნდა მოიცავდეს განსხვავებული სქესის, სულ მცირე, ერთ კანდიდატს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სიის წევრი კანდიდატების სქესი სამართლოში ნაკლებად არის წარმოდგენილი (მოსამართლეთა 40%-ზე ნაკლებს შეადგენს), ან არსებობს განსაკუთრებული გარემოებები ამ წესიდან გადახვევისთვის.

კომიტეტი კანდიდატების რეზიუმეებისა და მათთან ინტერვიუების მიხედვით, განსაზღვრავს, რამდენად აკმაყოფილებენ ისინი ამ კრიტერიუმებს. გარდა ამისა, შესაძლოა, კომიტეტმა სია პროცედურული მიზეზებითაც დაიწუნოს.

სახელმწიფოს მიერ წარდგენილი კანდიდატებისთვის კენჭის ყრაზე უარის თქმის პროცედურული საფუძვლებია:²²

1. კანდიდატების შერჩევის ეროვნული პროცესი ვერ აკმაყოფილებს სამართლიანობისა და გამჭვირვალობის მინიმალურ მოთხოვნებს;
2. ეროვნული შესარჩევი პროცესის განმავლობაში კანდიდატებთან ინტერვიუები არ ჩატარებულა;
3. ექსპერტთა პანელთან კონსულტაცია სათანადოდ არ არის გავლილი.

2.2. კანდიდატის შერჩევის პროცესი

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოს მიხედვით, კანდიდატების შესარჩევი პროცედურა უნდა იყოს წინასწარ გაწერილი, განჭვრეტადი და საზოგადოებისთვის ცნობილი.²³ კონკურსი უნდა გამოცხადდეს კანდიდა-

²¹ ad hoc მოსამართლე შეიძლება დაინიშნოს იმ შემთხვევაში, როდესაც არჩეულ მოსამართლეს არ შეუძლია საქმის განხილვაში მონაწილეობა, იგი თვითაცილებას აცხადებს, გათავისუფლებულია საქმის განხილვაში მონაწილეობისგან, ან შესაბამის სახელმწიფოს არჩეული მოსამართლე საერთოდ არ ჰყავს. ეს შეიძლება მოხდეს, მაგალითად, მაშინ, როდესაც ინტერესთა კონფლიქტი მოქმედ მოსამართლეს სასამართლოში წარდგენილი საქმის განხილვაში მონაწილეობის საშუალებას არ აძლევს. ad hoc მოსამართლის დანიშვნის საჭიროება შეიძლება ასევე წარმოიშვას მოქმედი მოსამართლის გადადგომის ან პენსიაზე გასვლის შემთხვევაში. ასეთ ვითარებაში ad hoc მოსამართლე განიხილავს შესაბამის საქმეებს მანამდე, სანამ ასამბლეა მოცემულ სახელმწიფოსთან მიმართებით ახალ მოსამართლეს აირჩევს. იხილეთ: PACE, Committee on Legal Affairs and Human Rights, Ad hoc judges at the European Court of Human Rights: an overview, 2012, <https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=13035&lang=en>, [13.08.2026].

²² PACE, Procedure for the election of judges to the European Court of Human Rights, Memorandum prepared by the Secretary General of the Assembly, SG-AS (2026) 01, 04.05.2026, par. 20, <https://rm.coe.int/procedure-for-the-election-of-judges-to-the-european-court-of-human-ri/1680aa8ddf>, [13.08.2026].

²³ CM(2012)40-final - Guidelines of the Committee of Ministers on the selection of candidates for the post of judge at the European Court of Human Rights, 29 March 2012, <https://search.coe.int/cm/#/%22CoEIdentifi>

ტების შერჩევამდე გონივრული ვადით ადრე და ამის შესახებ ინფორმაცია ფართოდ გავრცელდეს საზოგადოებაში.²⁴ კანდიდატების შერჩევაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობა უნდა იყოს დაბალანსებული, მის წევრებს უნდა გააჩნდეთ საკმარისი ტექნიკური ცოდნა, რეპუტაცია და თავისუფალნი უნდა იყვნენ გარე გავლენებისგან.²⁵ გარდა ამისა, პროცესის სამართლიანობისთვის აუცილებელი მოთხოვნაა აპლიკანტებთან გასაუბრება. თუ განაცხადების რაოდენობის გათვალისწინებით, ყველასთან გასაუბრება ვერ მოხერხდება, შესაძლოა, თავდაპირველად, განაცხადების მიხედვით შეიქმნას იმ აპლიკანტთა მოკლე სია, რომლებთანაც გასაუბრება ჩატარდება.²⁶ გასაუბრება უნდა გაიმართოს სტანდარტიზებული ფორმატით.²⁷

სახელმძღვანელოს მიხედვით, თუ ეროვნულ დონეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები ორგანო კანდიდატების შერჩევაზე პასუხისმგებელი ორგანოს რეკომენდაციას გადაუხვევს, მისი გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.²⁸ აპლიკანტებს უნდა შეეძლოთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაციის მიღება. სახელმწიფომ უნდა გაასაჯაროოს შერჩეული კანდიდატების სია.²⁹

2.3. კარგი პრაქტიკა შესარჩევი პროცესის სამართლიანობასა და გამჭვირვალობასთან დაკავშირებით

დამატებით, საპარლამენტო ასამბლეამ დააიდენტიფიცირა შემდეგი კარგი პრაქტიკის მაგალითები შესარჩევი პროცესის სამართლიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად:³⁰

1. განაცხადების წარსადგენად განსაზღვრულია არანაკლებ ერთი თვის ვადა;
2. აღმასრულებელი ხელისუფლება არ დომინირებს ეროვნული შესარჩევი ორგანოს შემადგენლობაში და მისი წევრების უმრავლესობა სამთავრობო სტრუქტურის გარედან არის წარმოდგენილი, მაგალითად, სასამართლო ხელისუფლებიდან, სახალხო დამცველის აპარატიდან, ადვოკატთა ასოციაციებიდან და აკადემიური წრეებიდან;
3. ეროვნული შესარჩევი ორგანოს წევრთა სახელობითი შემადგენლობა წინასწარ ქვეყნდება და საჯაროდ ხელმისაწვდომია;
4. ეროვნული შესარჩევი ორგანოს ზოგადი შემადგენლობა და შერჩევის პროცედურის დეტალები გაწერილია შესაბამისი აქტით (კანონით ან მთავრობის აქტით) და არ არის განსაზღვრული შესაბამისი მინისტრის დისკრეციულ უფლებამოსილებად;

[er%22:\[%2209000016805cb1ac%22\],%22sort%22:\[%22CoEValidationDate%20Descending%22\]》, \[13.08.2026\]; იხილეთ ასევე CM\(2012\)40-add - Guidelines of the Committee of Ministers on the selection of candidates for the post of judge at the European Court of Human Rights – Explanatory Memorandum, 29 March 2012, \[²⁴ იქვე.\]\(https://search.coe.int/cm/#\[%22CoEIdentifier%22:\[%2209125948801e3959%22\],%22sort%22:\[%22CoEValidationDate%20Descending%22\]》, \[13.08.2026\].</p>
</div>
<div data-bbox=\)](#)

²⁵ იქვე.

²⁶ იქვე.

²⁷ იქვე.

²⁸ იქვე.

²⁹ იქვე.

³⁰ PACE Resolution 2648 (2026), par. 7, <https://pace.coe.int/en/files/35984/html>, [13.08.2026].

5. მიღებულია ზომები, რათა ეროვნული შესარჩევი ორგანოების შემადგენლობაში, შეძლებისდაგვარად, დაცული იყოს გენდერული ბალანსი;
6. სამოქალაქო საზოგადოების, იურიდიული პროფესიების წარმომადგენლებსა და დამოუკიდებელ ინსტიტუტებს უფლება აქვთ, დამკვირვებლის სტატუსით დაესწრონ გასაუბრებებს;
7. ეროვნული შესარჩევი ორგანო შესაბამის ქვეყანასთან დაკავშირებით კონსულტაციას გადის სასამართლოს ყოფილ მოსამართლეებთან;
8. კანდიდატთა ენობრივი უნარები მოწმდება როგორც წერილობით, ისე ზეპირად, გასაუბრების დროს;
9. თუ საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები ორგანო ეროვნული შესარჩევი ორგანოს რეკომენდაციისგან გადახვევას განიხილავს, მან უნდა მოითხოვოს შესარჩევი ორგანოს მოსაზრება იმ კანდიდატების შესახებ, რომლებიც მოკლე სიაში არ მოხვდნენ;
10. მოსამართლეთა არჩევასთან დაკავშირებით ევროპის საბჭოს შესაბამისი დოკუმენტები ითარგმნება ეროვნულ ენაზე და ხელმისაწვდომია ეროვნული შესარჩევი ორგანოს ყველა წევრისთვის.

3. კანდიდატების შერჩევის წესი საქართველოში

საქართველოში კანდიდატების შერჩევის პროცედურას პარლამენტის მიერ მიღებული აქტი არ აწესრიგებს. მიმდინარე კონკურსისთვის ეს პროცედურა იუსტიციის მინისტრის ბრძანებით გაიწერა³¹ და ის, ძირითადად, ევროპული სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად 2016-17 წლებში ჩატარებული კონკურსისთვის მთავრობის დადგენილებებით განსაზღვრული პროცედურების მსგავსია.³² მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევად ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიის მუშაობა დასრულებულად მიიჩნევა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ საქართველოდან წარდგენილი კანდიდატებიდან ერთ-ერთის არჩევისთანავე.³³

„ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესისა და პროცედურის დამტკიცების შესახებ“ №1139 ბრძანება საქართველოს იუსტიციის მინისტრმა 2025 წლის 17 დეკემბერს მიიღო. ბრძანების თავდაპირველი ვერსიის მიხედვით, კანდიდატთა სია საქართველოს ევროპის საბჭოსთვის არაუგვიანეს 2026 წლის 4 თებერვლისთვის უნდა წარედგინა, თუმცა ეს ვადა ორჯერ გახანგრძლივდა და ამჟამად (2026 წლის 1-ლი აგვისტოს მდგომარეობით) ევროპის საბჭოსთვის კანდიდატების წარდგენის საბოლოო თარიღად 2026 წლის 30 სექტემბერია განსაზღვრული.³⁴ განაცხადების წარდგენის ბოლო ვადად კი 2026 წლის 1-ლი სექტემბერი განისაზღვრა.³⁵

3.1. კომისიის შემადგენლობა

№1139 ბრძანების მიხედვით, კანდიდატების შერჩევის კომისია შემდეგი წევრებისგან შედგება:

- ა) საქართველოს იუსტიციის მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე;
- ბ) საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- გ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი;
- დ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელი;
- ე) საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წარმომადგენელი;

³¹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2025 წლის 17 დეკემბრის №1139 ბრძანება „ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესისა და პროცედურის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში იუსტიციის მინისტრის №1139 ბრძანება)

³² საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 თებერვლის №93 დადგენილება „2017 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის კანდიდატურების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“; ასევე საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 დეკემბრის №623 დადგენილება „2016 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის კანდიდატურების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“.

³³ იუსტიციის მინისტრის №1139 ბრძანება, პუნქტი 4.

³⁴ იუსტიციის მინისტრის 2026 წლის 28 იანვრის №1180 ბრძანებით შესული ცვლილებების შედეგად, ევროპის საბჭოსთვის კანდიდატების წარდგენის ბოლო ვადად 2026 წლის 31 მარტი განისაზღვრა, ხოლო იუსტიციის მინისტრის 2026 წლის 12 მარტის №1193 ბრძანებით - 2026 წლის 30 სექტემბერი.

³⁵ იხ. ვაკანსია №98223, <https://vacancy.hr.gov.ge/JobProvider/UserOrgVaks/Details/98223?active=1>, [13.08.2026].

- ვ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წარმომადგენელი;
- ზ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელი;
- თ) საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენელი;
- ი) საქართველოს სახალხო დამცველი ან მისი წარმომადგენელი;
- კ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელი;
- ლ) სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ან ფაკულტეტის სხვა წარმომადგენელი;
- მ) სსიპ – ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ან ფაკულტეტის სხვა წარმომადგენელი;
- ნ) სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ან ფაკულტეტის სხვა წარმომადგენელი.

კომისიის შემადგენლობაში, 2016-17 წლების კონკურსებისგან განსხვავებით, აღარ შედიან სამოქალაქო საზოგადოების და „საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის (სიფა)“ წარმომადგენლები.

3.2. პროცესის ორგანიზება

კომისიის სამდივნო, რომლის ფუნქციასაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი ახორციელებს, თავდაპირველ ეტაპზე უზრუნველყოფს განაცხადების პირველად გადარჩევას. პირველადი გადარჩევის შედეგები დამტკიცებულად მიიჩნევა, თუ ამ შედეგებზე თანხმობას გამოხატავს კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. განაცხადების პირველადი გადარჩევის შედეგად შერჩეულ აპლიკანტებს კომისია იწვევს გასაუბრებაზე და ისმენს თითოეული მათგანის მოსაზრებებს ცალ-ცალკე. კომისიის წევრები კანდიდატებს აფასებენ ქულებით. ეს შეფასებები ეგზავნება კომისიის სამდივნოს, რომელიც თითოეულ კანდიდატთან მიმართებით საშუალო ჯამურ ქულას ადგენს.

საშუალო ჯამური ქულების კლებადობის მიხედვით, აპლიკანტთა სქესის შესაბამისად, სამდივნო შეადგენს 2 სიას. ამ სიების საფუძველზე, სამდივნო ქმნის 3-კანდიდატიან სიას, რომელშიც ორივე სიიდან შედის საუკეთესო შედეგის მქონე პირველი აპლიკანტი, აგრეთვე, ერთ-ერთ სიაში ქულების მიხედვით მომდევნო ადგილის მქონე ის აპლიკანტი, რომელსაც შესაბამის სიაში იმავე ადგილის მქონე სხვა სქესის აპლიკანტთან შედარებით უფრო მაღალი ქულა აქვს. სიას სამდივნო გააცნობს კომისიის წევრებს, ხოლო კომისიის თავმჯდომარე კომისიის სახელით წარუდგენს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს. განაცხადების პირველადი გადარჩევისა და გასაუბრების შედეგებს კომისია აპლიკანტებს ატყობინებს.

ბრძანებით დამტკიცებული პროცედურა, განსხვავებით 2016-17 წლების კონკურსებისგან, არ ითვალისწინებს მონაწილეთა ვინაობის, მათ მიერ წარდგენილი დოკუმენტების, მიღებული ქულებისა და სხდომის ოქმების საჯაროობის ვალდებულებას.³⁶

³⁶ 2016-17 წლების კონკურსის წესის მიხედვით, კომისიის ოქმები, გარდა გასაუბრების აუდიოჩანაწერე-

ბრძანების მიხედვით, კომისიის სხდომები და მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი. კანდიდატთან გასაუბრების დროს კეთდება აუდიოჩანაწერი, რომელიც ოქმის შემადგენელი ნაწილია. აუდიოჩანაწერები დაინტერესებულ პირებზე შეიძლება გაიცეს მხოლოდ შესაბამისი კანდიდატის თანხმობით (2016-17 წლების კონკურსების მსგავსად).

ბრძანება არ შეიცავს რაიმე დებულებას სხდომების ღიაობას ან მასზე მედიის დასწრებასთან დაკავშირებით, რაც, სავარაუდოდ, ნიშნავს, რომ კომისიის სხდომები მედიისთვის სრულად დახურულია, განსხვავებით 2016-17 წლების კონკურსისგან.³⁷

ბისა, ასევე შერჩევის ყველა ეტაპზე მონაწილე კანდიდატების ვინაობა, მათ მიერ კომისიისთვის წარდგენილი დოკუმენტები, ტესტირების შედეგები და გასაუბრების საშუალო ჯამური ქულები საჯარო იყო. კანდიდატებთან გასაუბრება ოქმდებოდა აუდიოჩანაწერებით, რომლებიც დაინტერესებულ პირზე შეიძლება გაცემულიყო მხოლოდ შესაბამისი კანდიდატის თანხმობით.

³⁷ 2016-17 წლების კონკურსის წესის მიხედვით, კომისიის სხდომები ღია იყო მედიის იმ წარმომადგენლებისათვის, რომლებიც წინასწარ გაივლიდნენ რეგისტრაციას კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირთან. სხდომის დაწყების შემდეგ მედიის წარმომადგენლები დარბაზში არ დაიშვებოდნენ. მედიის მიერ ვიდეო და ფოტო გადაღება დაიშვებოდა მხოლოდ სხდომის დაწყებისას, სხდომის დაწყების შემდეგ კი შესაბამისი დანიშნულების აპარატურა დარბაზიდან უნდა გატანილიყო. კომისიის ის სხდომები, რომლებზეც კანდიდატებთან გასაუბრება მიმდინარეობდა, ღია იყო მედიისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი თავად კანდიდატი გამოთქვამდა თანხმობას გასაუბრებაზე მედიის დასწრების შესახებ.

სამოქალაქო საზოგადოების შეფასებით, „ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლების მიერ გაკეთებული შეფასებები ეფუძნებოდა არა დადგენილებით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან კანდიდატთა შესაბამისობის დადგენას, არამედ მიზნად ისახავდა წინასწარ განსაზღვრული კანდიდატების უპირობო მხარდაჭერას და მთავრობისადმი წარსადგენ კანდიდატთა შორის მათი მოხვედრის უზრუნველყოფას“.⁴² აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კოალიციის შეფასებით, მათი მონაწილეობა პროცესში თავიდანვე ნომინალური იყო, რის გამოც, საბოლოოდ, კოალიციამ 2017 წლის ივლისში ხელახლა გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობაზე უარი თქვა.⁴³

კომისიის წევრების ობიექტურობასა და მაღალი კომპეტენციის მქონე კანდიდატების დაბალ შეფასებებთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები ჰქონდა **საქართველოს სახალხო დამცველსაც**.⁴⁴

კანდიდატების შერჩევის პროცესში შეფასების სისტემის ხარვეზიანობასა და კვალიფიციური კადრებისთვის დაბალი ქულების დაწერაზე საუბრობდა კომისიის წევრი, „სიფას“ წარმომადგენელი, ადვოკატი ზვიად კორძაძე.⁴⁵ მისი თქმით, „კანდიდატების გამოცდილება, კვალიფიკაცია, პროფესიული ეთიკა და უნარ-ჩვევები ხელისუფლების შერჩევის კრიტერიუმებს აშკარად არ წარმოადგენს. მთავარია, გადამწყვეტ მომენტში ამა თუ იმ ადამიანმა მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც შესაბამისობაში იქნება „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ მიზნებსა და დღის წესრიგთან.“⁴⁶

2017 წლის კონკურსში გამოვლენილ გამოწვევებზე დაკვირვებით, შეფასებებით მანიპულირების განმაპირობებელი ორი ძირითადი ფაქტორი შეიძლება გამოიყოს:

1. **შეფასების კრიტერიუმების არარსებობა** - კომისიის წევრს არ აქვს ვალდებულება, დაასაბუთოს შეფასება. არ არსებობს კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შესაფასებელი ქულა უნდა გადანაწილდეს.
2. **კომისიის შემადგენლობა** - კომისიაში პოლიტიკური გავლენისაგან დამოუკიდებელი აქტორების მიერ დაწერილი მაღალი ქულები, კომისიის სხვა წევრების სავარაუდო შეთანხმებისა და მინიმალური ქულების დაწერის შედეგად, აზრს კარგავდა და მათი მონაწილეობა პროცესში მხოლოდ ფორმალურ სახეს იძენდა.

⁴² კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, „2017 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის კანდიდატურების შესარჩევად მეორედ შექმნილმა კომისიამ კვლავ ვერ უზრუნველყო სამართლიანი და გამჭვირვალე შერჩევის პროცედურა“, 03.07.2017, <https://gyla.ge/post/2017-tsels-adamianis-uflebata-evropul-sasamartloshi-saqartvelodan-asarchevi-mosamartlis-kandidaturebis-shesarchevad-meored-sheqmnilma-komisiyam-kvlav-ver-uzrunvelyo-samartliani-da-gamtchvirvale-sherchevis-procedura#sthash.w5r9y6r6.dpbs>, [13.08.2026].

⁴³ კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, „კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის საქართველოს მთავრობას მოუწოდებს, შეცვალოს სტრასბურგის სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კომისიის დაკომპლექტების წესი“, 27.07.2017, <https://socialjustice.org.ge/ka/products/koalitsia-damoukidebeli-da-gamchvirvale-martlsajulebisatvis-sakartvelos-mtavrobas-moutsodebs-shetsvalos-strasburgis-sasamartloshi-mosamartleobis-kandidatta-shesarchevi-komisiis-dakomplektebis-tsesej>, [13.08.2026].

⁴⁴ „ნეტგაზეთი“, „ომბუდსმენი არ გამოიციხვას, რომ სტრასბურგის მოსამართლეობის კანდიდატების სია კვლავ ჩაჯარდეს“, 29.05.2017, <https://netgazeti.ge/news/197359/> [13.08.2026].

⁴⁵ „ლიბერალი“, რატომ ვერ ავირჩიეთ ევროსასამართლოს მოსამართლე, 27.09.2017, <http://liberali.ge/articles/view/31475/ratom-ver-avirchiet-evrosasamartlos-mosamartle> [13.08.2026].

⁴⁶ იქვე.

სამოქალაქო საზოგადოება თავიდანვე მიუთითებდა კომისიის დაკომპლექტების წესის ცვლილების, კომისიაში დამოუკიდებელი წევრების წარმომადგენლობის გაზრდის, შეფასების სისტემის მკაფიო სამართლებრივი მოწესრიგების საჭიროებაზე და ამ საკითხებზე მუშაობისთვის მზადყოფნას გამოხატავდა, თუმცა, უშედეგოდ.⁴⁷

აღსანიშნავია, რომ 2016-17 წლებში გამოვლენილი ეს პრობლემები დღეს კიდევ უფრო მწვავედ დგას. კომისიის შემადგენლობა სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას ფორმალურადაც კი აღარ ითვალისწინებს. კვლავ არ არის განსაზღვრული კანდიდატთა შეფასების კრიტერიუმები (იხილეთ ქვეთავი 5.2). ამასთანავე, 2024 წლის შემდგომ ავტორიტარიზმის სწრაფი გაძლიერების ფონზე, რომელიც ხელისუფლების სხვადასხვა შტოსა და ინსტიტუციაში ძალაუფლების დემოკრატიული დანაწილების კიდევ უფრო ძლიერი და სწრაფი უკუსვლით ხასიათდება, შეუძლებელია კომისიისგან ობიექტური და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების მოლოდინი არსებობდეს (იხილეთ ქვეთავი 5.4).

4.2. არაგანჭვრეტადი შეფასების კრიტერიუმები

როგორც ზემოთ აღინიშნა, შეფასების მკაფიო კრიტერიუმების არარსებობა ქულების განაწილებას განუჭვრეტელს ხდის და ამარტივებს პოლიტიკურ წინასწარგანწყობებსა ან/და არაფორმალურ შეთანხმებებზე, გავლენებზე დაფუძნებულ შეფასებას. მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელოს მიხედვით, სამართლიანობისა და თანმიმდევრულობის პრინციპებიდან გამომდინარე, გასაუბრებები, როგორც წესი, სტანდარტიზებული ფორმატით უნდა ჩატარდეს, ყველა კანდიდატი ერთსა და იმავე ძირითადი კრიტერიუმების საფუძველზე უნდა შეფასდეს (რაც, დამატებით, საკითხებზე შეკითხვების დასმას არ გამოირიცხავს).⁴⁸

მინისტრის ბრძანება არ შეიცავს რაიმე ტიპის სტანდარტიზებულ ფორმას გასაუბრებისთვის. ეს უკანასკნელი შინაარსს იქნებოდა მოკლებული შეფასებისთვის მინიმალური კრიტერიუმების ან შეფასების ქულების გადანაწილების სისტემის გარეშე. გასაუბრების ჩატარების თანმიმდევრული მოდელის არსებობაც, შესაძლოა, უბრალო ფორმალობად გადაიქცეს, თუ ეს თანმიმდევრულობა შეფასებაში არ აისახება.

იუსტიციის მინისტრის 2025 წლის ბრძანებით დამტკიცებულ შეფასების ფორმამი (დანართი 2) ერთმანეთისგან გამოყოფილი არ არის კვალიფიკაციისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმებიც კი და არ არსებობს რაიმე ტიპის მითითება, როგორ შეიძლება გადანაწილდეს ქულები სხვადასხვა კრიტერიუმის (მაგ. კვალიფიკაცია, გამოცდილება, პროფესიული რეპუტაცია) მიხედვით. დანართში მოცემულია მხოლოდ ქულების მნიშვნელობა (1 - მიუღებელი; 2 - საშუალოზე დაბალი კომპეტენციის; 3 -

⁴⁷ კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, „კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის საქართველოს მთავრობას მოუწოდებს, შეცვალოს სტრასბურგის სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კომისიის დაკომპლექტების წესი“, 27.07.2017, <https://socialjustice.org.ge/ka/products/koalitsia-damoukidebeli-da-gamchvirvale-martlsajulebisatvis-sakartvelos-mtavrobas-moutsodebs-shetsvalos-strasburgis-sasamartloshi-mosamartleobis-kandidatta-shesarchevi-komisiis-dakomplektebis-tsesei> [13.08.2026].

⁴⁸ CM(2012)40-add - Guidelines of the Committee of Ministers on the selection of candidates for the post of judge at the European Court of Human Rights – Explanatory Memorandum, 29 March 2012, par. 51-55, [https://search.coe.int/cm/#{%22CoEIdentifier%22:\[%2209125948801e3959%22\],%22sort%22:\[%22CoEValidationDate%20Descending%22\]}](https://search.coe.int/cm/#{%22CoEIdentifier%22:[%2209125948801e3959%22],%22sort%22:[%22CoEValidationDate%20Descending%22]}) [13.08.2026].

კომპეტენტური; 4 - კარგი; 5 - ძალიან კარგი) და მითითება, რომ, შესაძლოა, დაიწეროს არამთელი ქულაც.

დანართი №2

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსი

	კანდიდატის სახელი, გვარი	პროფესიული/პიროვნული უმარ-ჩვევების შეფასება ¹	კომენტარი (მიეთითება სურვილის შემთხვევაში)
1			
2			
3			
4			
5			
6			
7			

☐ შემთხვევითი სახელი, გვარი: _____ ხელმოწერა: _____

¹ 1 - მიუღებელი; 2 - საშუალოზე დაბალი კომპეტენციის; 3 - კომპეტენტური; 4 - კარგი; 5 - ძალიან კარგი. შესაძლებელია, განისაზღვროს არამთელი ქულაც (2.5, 3.3 და ა.შ.).

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2025 წლის 17 დეკემბრის №1139 ბრძანების დანართი №2. ბრძანებას 4 დანართი აქვს. აქედან სამი (დანართები № 1.1-1.3) ავტობიოგრაფიის (CV) ქართულ, ინგლისურ და ფრანგულენოვანი ფორმატებია.

4.3. გა(უ)მჭირვალობა

მიმდინარე კონკურსში, გარკვეულწილად, გაუარესებულია წინა კონკურსებზე მოქმედ წესებში გათვალისწინებული გამჭვირვალობის მოთხოვნები. წინა კონკურსისაგან განსხვავებით, ბრძანება არ ითვალისწინებს აპლიკანტთა ვინაობის და მათ მიერ წარდგენილი დოკუმენტების გამოქვეყნების ვალდებულებას, ასევე, აპლიკანტის თანხმობის შემთხვევაში, გასაუბრებაზე მედიის დასწრების შესაძლებლობას.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ წინა კონკურსის გამოცდილებისა და ზემოთ განხილული პრობლემების გათვალისწინებით, ამ დანაწესების არსებობის პირობებშიც, პროცესის გამჭვირვალობის განმსაზღვრელი წესები (ვაკანსიის, ასევე, პროცედურის წესების დროული და საჯარო გამოქვეყნება) ვერ უზრუნველყოფს პროცესის რეალურ სამართლიანობასა და პოლიტიკური გავლენებისაგან თავისუფლებას. კონკურსის ფორმალური გამჭვირვალობის მიღმა კვლავ სახელმწიფოს წარმომადგენელთა არაფორმალური შეთანხმება და პოლიტიკური გავლენები რჩება, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ ტოვებს უმთავრეს შეკითხვებს: რატომ შეირჩა ესა თუ ის კანდიდატი; რატომ მიიღო უფრო მაღალი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე აპლიკანტმა ნაკლებად

გამოცდილ/რეპუტაციულ კანდიდატზე დაბალი შეფასებები; რით აიხსნება რადიკალური განსხვავება კომისიის დამოუკიდებელი წევრებისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა მიერ დაწერილ ქულებს შორის.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ქულების განაწილების კრიტერიუმებთან ერთად, არ არსებობს არც შეფასების დასაბუთების/კომენტარის გაკეთების ვალდებულება, არც კონკურსის შედეგების გასაჩივრების პროცედურა, არც ინტერესთა კონფლიქტის მომწესრიგებელი ნორმები, რაც ჯერ კიდევ 2017 წელს იყო სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკის საგანი.⁴⁹

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციაა, რომ პროცედურა კანონით ან მთავრობის დადგენილებით იყოს მოწესრიგებული და შესაბამისი მინისტრის დისკრეციას არ იყოს დამოკიდებული. საქართველოში მიმდინარე კონკურსის წესი იუსტიციის მინისტრის ბრძანებით არის დადგენილი. უნდა აღინიშნოს, რომ მანამდე, მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული რეგულაცია არსებითად უკეთესი არ იყო დღეს მოქმედ წესზე. მართალია, საკითხის მკაფიო საკანონმდებლო მოწესრიგება გამჭვირვალობისა და განჭვრეტადობისკენ გადადგმული სასურველი ნაბიჯი იქნებოდა, თუმცა ამ შემთხვევაშიც, საკანონმდებლო პროცესის დემოკრატიულობის, მასში საზოგადოების ფართო ჩართულობის, ზემოთ განხილული პრობლემური საკითხების მოგვარებისა და საქართველოში არსებული პერსონიფიცირებული, ავტორიტარული კანონშემოქმედების პრაქტიკაზე⁵⁰ უარის თქმის გარეშე, ძირითადი პრობლემები კვლავ აქტუალური დარჩება.

4.4. ავტორიტარიზმი, როგორც კანდიდატების შერჩევის ძირითადი კონტექსტი

საქართველოში 2024 წლიდან ავტორიტარიზმის სწრაფი კონსოლიდაციის პროცესი ადამიანის უფლებების უმძიმესი დარღვევებით, ხელისუფლების დემოკრატიული დანაწილების ისედაც პრობლემური მდგომარეობის კიდევ უფრო აშკარა გაუარესებით, საჯარო სექტორის აგრესიული პოლიტიზაციით, ფორმალურად დამოუკიდებელი ინსტიტუტების მიტაცებითა და ინსტრუმენტალიზაციით ხასიათდება.⁵¹

⁴⁹ კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, „2017 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის კანდიდატურების შესარჩევად მეორედ შექმნილმა კომისიამ კვლავ ვერ უზრუნველყო სამართლიანი და გამჭვირვალე შერჩევის პროცედურა“, 03.07.2017, <https://gyla.ge/post/2017-tsels-adamianis-uflebata-evropul-sasamartloshi-saqartvelodan-asarchevi-mosamartlis-kandidaturebis-shesarchevad-meored-sheqmnilma-komisi-am-kvlav-ver-uzrunvelo-samartliani-da-gamtchvirvale-sherchevis-procedura#sthash.w5r9y6r6.dpbs>, [13.08.2026].

⁵⁰ საია, „პერსონიფიცირებული კანონშემოქმედება საქართველოში, როგორც უფლების არამართლზომიერად შეზღუდვის საშუალება, 2024 წლიდან მიღებული შემზღუდველი საკანონმდებლო ცვლილებების მიმოხილვა“, 2026, https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%20.pdf, [13.08.2026].

⁵¹ მაგ. იხილეთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასება „ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში 2025 წელს“, 2025 წლის 10 დეკემბერი, https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8

ქვეყანაში არსებული პოლიტიკური მართლმსაჯულების შემამოფოთებელი მასშტაბი ცხადად მიუთითებს მართლმსაჯულების ორგანოების, სასამართლოს და პროკურატურის პოლიტიკურ იარაღად ქცევაზე.⁵² 2025 წლიდან ჩატარებული უმაღლესი განათლების რეფორმა აკადემიური სივრცის შევიწროებისა და უნივერსიტეტების პოლიტიკური დამორჩილების იარაღად მიიჩნევა.⁵³ ამასთანავე, 2024 წლის ბოლოდან გატარებულ საკანონმდებლო რეფორმებს „ქართული ოცნება“ მოხელეთა მასობრივი დათხოვნისთვის, საჯარო უწყებებში მასთან პოლიტიკურ თანხვედრაში არმყოფი ადამიანების დასჯის, დაშინებისა და სისტემიდან განდევნისთვის იყენებს.⁵⁴ ამის გათვალისწინებით, ცხადია, რომ კომისიაში მთავრობისა და პარლამენტის წევრების გარდა, პროკურატურის, სასამართლოს და უნივერსიტეტების წარმომადგენელთა არსებობა ვერ უზრუნველყოფს კომისიის რეალურ დამოუკიდებლობას „ქართული ოცნების“ პარტიული გავლენისაგან.

პარალელურად, ქვეყანაში რეპრესიული კანონებით, პოლიტიკურად მოტივირებული გამოძიებებით, დეზინფორმაციის კამპანიებით, ფინანსებზე წვდომის შეზღუდვითა და მათი საქმიანობის ფაქტობრივი კრიმინალიზებით, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის სისტემური შევიწროება, გამოხატვის და შეკრების თავისუფლების სისტემური დარღვევები პროცესის რეალურ გამჭვირვალობას, სამართლიანობას და მასზე დემოკრატიულ კონტროლს, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის.

აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას, რომელსაც საქართველოდან წარდგენილი კანდიდატების სიის და, შესაბამისად, შერჩევის პროცესის სამართლიანობისა და გამჭვირვალობის შეფასება მოუწევს, არაერთხელ გაუმახვილებია ყურადღება საქართველოში ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის სწრაფ და საგანგამო გაუარესებაზე.⁵⁵ მათ შორის, 2026 წელს მიღებულ რეზოლუციაში ევროპის საბ-

[%E1%83%98%202025%20%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A1.pdf](#), [13.08.2026]; ასევე Amnesty International, Georgia: Anatomy of Repression: 500 Days of Protest, Crackdown and Resilience, 2026, <https://www.amnesty.org/ru/documents/eur56/1115/2026/en/>, [13.08.2026]; ასევე V-Dem Institute, Democracy Report 2025, pg. 27, https://v-dem.net/documents/54/v-dem_dr_2025_lowres_v1.pdf, [13.08.2026].

⁵² მაგ. იხ. საია, „2024-2025 წლებში აქციების კონტექსტში დაკავებული პირების პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკვირვების შედეგები“, 2025, https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/2024-2025%20wlebSi%20politikurad%20motivirebuli%20saqmeebi_geo.pdf, [13.08.2026]; Amnesty International, Georgia: Anatomy of Repression: 500 Days of Protest, Crackdown and Resilience, 2026, <https://www.amnesty.org/ru/documents/eur56/1115/2026/en/>, [13.08.2026].

⁵³ PACE Resolution 2664 (2026), The functioning of democratic institutions in Georgia, par, 9, <https://pace.coe.int/en/files/36232/html>, [13.08.2026]; International Association of Universities, Ilia State University Under Spotlight Amid Education Reforms, 2026, <https://iau.global/news/ilia-state-university-under-spotlight-amid-education-reforms>, [13.08.2026], სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „მიმდინარე უმაღლესი განათლების რეფორმა ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ეროვნულ და საერთაშორისო სამართლის სტანდარტებს“, 25.02.2026, <https://socialjustice.org.ge/ka/products/mimdinare-umaghlesi-ganatilebis-reforma-etsinaaghmdegeba-adamianis-uflebata-erovnul-da-saertashoriso-samartlis-standartebs> [13.08.2026].

⁵⁴ საია, „პერსონიფიცირებული კანონშემოქმედება საქართველოში, როგორც უფლების არამართლზომიერად შეზღუდვის საშუალება, 2024 წლიდან მიღებული შემზღუდველი საკანონმდებლო ცვლილებების მიმოხილვა“, 2026, გვ. 7, https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%20.pdf [13.08.2026].

⁵⁵ იხ. PACE Resolution 2561 (2024) “Challenges to democracy in Georgia”, <https://pace.coe.int/en/files/33694#trace-3>, [13.08.2026]; PACE Resolution 2585 (2025) “Challenge, on substantive grounds, of the still unratified credentials of the parliamentary delegation of Georgia”, <https://pace.coe.int/en/files/34147> [13.08.2026];

ჭოს საპარლამენტო ასამბლეა მიუთითებს საქართველოს მიერ ასამბლეის რეკომენდაციების უგულებელყოფასა და დემოკრატიული უკუსვლის უწყვეტად გაგრძელებაზე.⁵⁶ ასამბლემ კიდევ ერთხელ მოუწოდა ევროპის საბჭოს ორგანოებს და ყველა წევრ სახელმწიფოს, გამოიყენონ ყველა შესაძლო მექანიზმი, მათ შორის, განიხილონ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სახელმწიფოთაშორისი საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა, რათა უზრუნველყონ საქართველოს მიერ ევროპის საბჭოს წევრობიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება.⁵⁷

მნიშვნელოვანია, რომ ასამბლემ ეს კონტექსტი გაითვალისწინოს მოსამართლეთა კანდიდატების სიის შეფასების დროსაც და პროცესის სამართლიანობისა და გამჭვირვალობის შემოწმებისას, ვიწრო პროცედურული საკითხების გარდა, მხედველობაში მიიღოს საქართველოში დემოკრატიაზე ავტორიტარული შეტევისა და სისტემური რეპრესიების ზოგადი გარემო.

PACE Resolution 2600 (2025) “The situation in Georgia and follow-up to Resolution 2585 (2025) ‘Challenge, on substantive grounds, of the still unratified credentials of the parliamentary delegation of Georgia’”, <https://pace.coe.int/en/files/34293>, [13.08.2026]; PACE Resolution 2624 (2025) “Uphold democracy and the rule of law in Georgia”, <https://pace.coe.int/en/files/35692>, [13.08.2026].

⁵⁶ PACE Resolution 2664 (2026), The functioning of democratic institutions in Georgia, <https://pace.coe.int/en/files/36232/html> [13.08.2026].

⁵⁷ იქვე.

დასკვნა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლის არჩევის მრავალეტა-პიანი პროცედურა მიზნად ისახავს სასამართლოს შემადგენლობაში მაღალი კვალიფიკაციის, კეთილსინდისიერი, დამოუკიდებელი პირების მოხვედრას, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული სასამართლოს სანდოობასა და ეფექტიანობასთან. მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის ეროვნული პროცედურა მხოლოდ ფორმალურად არ უნდა ქმნიდეს კონკურენტული და წარმომადგენლობითი პროცესის შთაბეჭდილებას, იგი რეალურად უნდა უზრუნველყოფდეს კანდიდატების ობიექტურ, თანმიმდევრულ და პოლიტიკური ინტერესებისგან თავისუფალ შეფასებას.

საქართველოში მოქმედი პროცედურა სამართლიანობისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს სათანადოდ ვერ პასუხობს. ქვეყანაში 2024 წლიდან შექმნილი დემოკრატიული უკუსვლა და ავტორიტარიზმის სწრაფი გაძლიერება ახალ სიმწვავეს ჰმატებს ისედაც ხარვეზიან პროცესს, რომელთან დაკავშირებითაც გამოწვევები ჯერ კიდევ 2016-2017 წლებიდან აქტიურად განიხილებოდა სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან.

ეროვნულ დონეზე შერჩევის კომისიის შემადგენლობაში დომინირებენ სახელმწიფო უწყებებისა და იმ ინსტიტუტების წარმომადგენლები, რომელთა რეალური დამოუკიდებლობაც, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და ინსტიტუციური გარემოს გათვალისწინებით, დიდ ეჭვს იწვევს. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები კომისიაში აღარ მონაწილეობენ, ხოლო დამოუკიდებელი აქტორების ჩართულობის სხვა ეფექტიანი მექანიზმები არ არსებობს. პროცედურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზია, ასევე, კანდიდატების შეფასების მკაფიო და დეტალური კრიტერიუმების არარსებობა. ასეთ პირობებში ქულების განაწილება რთულად პროგნოზირებადი და, პრაქტიკულად, შეუმოწმებელი ხდება, რაც ზრდის წინასწარი პოლიტიკური გადაწყვეტილებების, არაფორმალური შეთანხმებებისა და კანდიდატების მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულების შეფასებებში ასახვის შესაძლებლობას.

ამ პრობლემების გადაჭრა უფრო ფართო სისტემური რეფორმებისა და სახელმწიფოს დემოკრატიულ რელსებზე დაბრუნების გარეშე წარმოუდგენელია. პროცესის რეალური სამართლიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად ვიწრო პროცედურული წესების დაცვა საკმარისი არ არის და საჭიროა, რომ სახელმწიფომ:

- შეწყვიტოს მმართველი პარტიისათვის არასასურველი აზრის ადმინისტრაციული, სისხლისსამართლებრივი და სხვა მექანიზმებით დევნის პრაქტიკა; გააუქმოს რეპრესიული კანონები; შეწყვიტოს მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების დევნა და გაითვალისწინოს, მათ შორის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციებში ასახული რეკომენდაციები;
- უზრუნველყოს კანდიდატთა შერჩევის წესის რეფორმა საზოგადოების ფართო ჩართულობით;
- მათ შორის, უზრუნველყოს შერჩევის კომისიაში სამოქალაქო საზოგადოებისა და დამოუკიდებელი ექსპერტების/პროფესიონალების ფართო წარმომადგენლობა და განსაზღვროს აპლიკანტთა შეფასების მკაფიო კრიტერიუმები.

გარდა ამისა, ევროპის საბჭოს ექსპერტთა პანელმა და საპარლამენტო ასამბლეამ საქართველოდან წარდგენილი კანდიდატების შესარჩევი პროცესის სამართლიანობის

შეფასებისას არ უნდა იხელმძღვანელონ მხოლოდ ეროვნული პროცედურის ფორმალური დაცვით. მნიშვნელოვანია, ევროპის საბჭომ შეაფასოს, რამდენად იძლეოდა ეროვნული პროცესი რეალური კონკურენციის, ობიექტური შეფასებისა და პოლიტიკური გავლენისგან თავისუფალი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. ამ შეფასებისას არსებითი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს კომისიის რეალურ დამოუკიდებლობას, შეფასების კრიტერიუმების განჭვრეტადობას, საზოგადოებრივი კონტროლის ფაქტორს, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების კუთხით საქართველოში არსებულ უმძიმეს კრიზისს.

ევროპული სასამართლოს მოსამართლის შერჩევა არ შეიძლება იქცეს ავტორიტარული ძალების მიერ საერთაშორისო სასამართლოზე გავლენის მოპოვების ინსტრუმენტად. კანდიდატთა შერჩევის პროცესის მიმართ კონტექსტზე დაფუძნებული მიდგომა აუცილებელია როგორც კონკრეტული კონკურსის ლეგიტიმურობისთვის, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამოუკიდებლობის, ავტორიტეტისა და მის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის დასაცავად.